

სპორტი

ეროვნული
გიზლირთი

საორბული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბერიდან საგზავნო, 12 სექტემბერი 1995 № 57 (195) ფასი 1000 მან 36 ფარდი კუპ

გამარჯვებას შეგპილდება!

ევროპის ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო ტურის სამასობო მატჩი.
10 სექტემბერი. თბილისი. სპორტის სასახლე. 3000 მაყურებელი.

„სტუ-შვარდენი“ (საქართველო) — „კეპრა“ (ესტონეთი) 3:2 (1:1:0)

„სტუ-შვარდენი“: ერაძე (1), ბოლოჩიძე (6), კალანდიაძე (4), მეფარიანი (5), ორჯონიძე (3), ჩანანიძე (5), კაკელიძე (6), ჭობლაშვილი (1), თურქია (2), მასიუკოვი (1), იაკობიძე, თბილაძე.

„კეპრა“: ნელა, კაუგა (3), კუსემბეტი, ტურმანი (1), ლინატი (4), ლილსო (4), ლეპი (4), კასტანი (2), ლუკასი (2), პალმარი (1).

ქართული ხელბურთის თავის დროზე არც კლასი აკლდა, არც მაყურებელი, სახელგანთი ოსტატებიც, მოგონებებით, საკმაოდ გვიან და ხელბურთზე შეფარებული გულშემატკივარიც არ იყო სახილვითი საგნები. მერე და მერე საქმე უკან წაგვივლიდა და 90-იანი წლების დამდევსთვის თუ ოსტატობა ასე თუ ისე შევიწროვებოდა, მაყურებელი, შეიძლება ითქვას, მთლიანად დავკარგეთ. ამიტომ იყო სასიამოვნო მოულოდნელობა ამ თამაშზე სამი ათასამდე მაყურებლის ხილვა. მაყურებლის „მობრუნების“ მთავარ მიზეზად ტალინურ მატჩში გამარჯვება მიჩანია, თუმცა შედარებით უკეთ ორგანიზებულმა რეკლამამაც თავისი წილი ატანა, ამ თამაშის ინტრიგაც ახლდა, რომ ჩვენს ჩემპიონს, პირველად 4 წლის მანძილზე, შეეძლო გადაეღობა საწყისი ბარიერი და, ესეც კეთვით, ბოლოდროინდელი საუბურით და საკლასობო წარუმატებლობის შემდეგ სპორტის მოყვარულთა იმედად დარჩენილიყო.

მატჩის წინ ჩვენები მცირედ წერეთლოდნენ, მაგრამ თამაშის დასაწყისის ეს არ დასტოვებია — მეტოქეს 4 უმასუხო ბურთი გაუტანეს, საკუთარ კარში კი პირველი ბურთი მხოლოდ მე-5 წუთზე მიიღეს. ამ მომენტში კარგად თამაშობდნენ ვახტანგ მეფარიანი და ირაკლი კაკელიძე. ტიტე კალანდიაძეს მეტოქეები საგანგებოდ შეურყევობდნენ და აქტიურად შეტევას საშუალება არ მისცეს.

კარგმა დასაწყისმა და პირველ მატჩში მოპოვებულმა ორბურთიანმა უპირატესობამ ქართულ ხელბურთელებს, უკვე იყო, ეს აფიქრებინა — საქმე უკვე მოთავსებული და ოდნავ მოუშვნენ. ესტონელები კი ბედს სულაც არ შეგუებოდნენ, მეტოქეს მოშვება არ აპატიეს, აქტიურად ათამაშდნენ და მე-19 წუთისთვის უკან ანგარიშში გაათანაბრეს (6:6), ორივე წუთში კი დაწინაურდნენ კიდევ. აღსანიშნავია, რომ თბილისელმა ხელბურთელებმა ამ დროისთვის 3 შეიღებულნი საჯარიმო გააცუდეს (2 კალანდიაძე, 1 ბუკა ორჯონიძე). მოსალოდნელმა საფრთხემ ჩვენები გამოაფხინა და 24-ე წუთზე ისევ დაწინაურებულმა ერთბურთიანი უპირატესობა ტამის ბოლომდე შეინარჩუნა.

ესტონელებთან მეკარე ნელა, ლინატი და ლილსო მთელი მატჩის მანძილზე გამოირჩეოდნენ, თბილისელებთან კი კლავიკ მეფარიანი და კაკელიძე. აქტიურობდა ორჯონიძეც, მაგრამ არც ისე შედეგანად. კარგი შთაბეჭდილება დატოვა 17 წლის ახალბედა კაზა ჩანანიძემ. დაცვაში მარცხენა მხარე მოიხსუტებდა, მეტოქემაც სწორედ აქედან იზიარა ყველაზე მეტად. ცენტრი კარგად ჩანაჩანა ტანსაცმელს თბილისად არ ორჯონიძემ. მარჯვენა მხარე კი შედარებით სუსტად იყო დაცული, გიორგი თურქია (რომელიც თბილისისთვის ერთად მხოლოდ დაცვაში მოქმედებდა) ფუნქციონირებას ვახლდა. მთლიანობაში თბილისელთა თამაში მერე ნახევარში მშვიდად ყოფნის გარანტიას არ იძლეოდა. დასაწყისშიც ამის დამადასტურებელი იყო: ბურთი თამაშში ესტონელებმა შეიტანეს და ანგარიშიც გაათანაბრეს.

ამის შემდეგ კი დაიწყო 15-წუთიანი მონაკვეთი, ქართველ გულშემატკივარს დიდი სიამოვნება რომ მიანიჭა. თამაშად შეიძლება ითქვას, რომ დროის ამ მონაკვეთში თბილისელთა შესრულებით მართლაც დიდი ხელბურთი ვიხილეთ: უმეტესად მოქმედება დაცვაში, გამარჯვებული მეკარის ბრწყინვალე თამაშით; სწრაფი, შეთანხმებული და მხვედრობითი



უტევს ალექო ბოლოჩიძე ბნა ახალბედის ფოტო

კომბინაციები, დამწვევებელი ლამაზი და ხუსტი ტყორცებით ანლო თუ შორი მანძილებიდან; ელვისებური და შედეგიანი კონტრშეტევები, რაც მუდამ აქილევსის ქუსლი იყო ჩვენი ვუნდებისთვის. ერთ რამედ ღირდა კალანდიაძის მიერ მაღალ ნახტომში ზურგს უკან შესრულებული გადაცემა, რომელმაც ესტონელებს დაცვაში ჩაღებოვლებული, ხოლო მეფარიანი მეკარესთან პირისპირ დატოვა; ბოლოჩიძის თუ ჩანანიძის დამკვირვებლები დარტყმები... ესტონელები ამკარად არ ელოდნენ ასეთ იერიშებს და დაიბნენ, შემდეგ კი სულაც გატყდნენ. ჩინებულად მოთამაშე მეკარე ერასიმ მიერ კარგად იკარგა გოლმა ზომ მიღება წაუხდინა თამაშის იმტა და სტუმრებმა, ფაქტობრივად, წინააღმდეგობის გაწევა შეწყვიტეს. ამ დროისთვის ანგარიში 24:15 გახლდათ. ქართველმა ხელბურთელებმა თავს დასველების უფლება მისცეს და სათადარიგოთა სკამზე რამდენიმე მირიადი მოთამაშე დაჯდა. თუმცა არც ახალშემოსულებს დაუკლიათ ხელი და, საბოლოოდ, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ვისაც არ ეზარებოდა, ყველას გოლი გაეკონდა... რა იყო მიზეზი ტაქტიკის შორის ასეთი სხვაობისა, ამის გასარკვევად თავად ხელბურთელებს დავეითებ.

ბემა ორჯონიძე: ტალინში გამარჯვების შემდეგ საბოლოო წარმატებაში ეჭვიც არ გვეპარებოდა, ამიტომ შედგებულ თავდაჯერებულები გამოვედით. მერე ნახევარში მივხვდით, რომ მეტოქის შეუფასებლობა არ ივარგებდა, მთელი სერიოზულობით მოვეკიდეთ თამაშს და ამან შედეგი გამოიღო. ერთი იყო: რა ხანია, ამდენი მაყურებელი არ გვინახავს და ფსიქოლოგიურად, ცოტა არ იყოს, გავიჭირდა. თანაც პირველად ვთამაშობდით შინ და ესეც გარკვეულ ტვირთად გვაწვა.

ტიტე კალანდიაძე: ალბათ ზედმეტი თავდაჯერება. სხვა პრობლემა არ გვქონია. ვახტანგ მეფარიანი (გუნდის კაპიტანი): მხოლოდ ეს იყო — თავდაჯერება და, აქედან გამომდინარე, მეტოქის შეუფასებლობა, რაც ხშირად ცუდად მოვარდებოდა. ჩვენს შემთხვევაში ყველაფერი კარგად დასრულდა, თუმცა, ჩემი აზრით, ამჯერად სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო... მალაინ კარგია, როცა შენს ძალებში დარწმუნებული ხარ. ამას არავისთვის, მით უფრო სპორტსმენებისთვის უკარ არ უნდა. პირიქით, დიდი წარმატებები რწმუნების გარეშე არ მოდის, ზოგჯერ ეს უპირველესი კი შეიძლება იყოს. თუ ჩვენს ხელბურთელებს იმის რწმუნება ექნებათ, რომ გაცილებით მეტის მიღწევა შეუძლიათ, დღეს თუ არა, იქნებ ხვალ მაინც „ეიშონ“ ტოლსწორად ევროპელ გრანდებს.

ერთი თვის შემდეგ „სტუ-შვარდენის“ მეტოქე მეთექვსმეტდღეინალში სწორედ რომ გრანდია — ესპანეთის ჩემპიონი „ბარსელონა“.



გერმანია — საქართველო 4:1. ერთ წაში ანდრეას მოლოერი ანგარიშს გაგვითანაბრებს.

მსოფლიო უჩვეულოდ

თვითმხილველთა შთაბეჭდილებები, გერმანული პრესის მიმოხილვა და ფოტორეპორტაჟი — მერე-მესამე გვერდებზე

ფაქტობრივად პირ ივარგებს

აშშ-ის საზოგადოებრივი პირველობა ვერც ანდრე ავასიმ მოიგო და ვერც მონიკა სელეშმა. მსოფლიოს პირველ ჩოგან ვაქს აჯობა ძველმა დონსტა პიტ სპარანსმა. ფინალამდე ორივეს 8-8 მატჩი მოეწო, წლებულს ანდრეს ოთხიდან სამჯერ დაემარცხებინა პიტი. ამჯერად ფინალი ქარმა გააფუჭა. 24 წლის სპარანსმა 6:4, 6:3, 4:6, 7:5 მოიგო და მესამედ გახდა ჩემპიონი.

მანამდე, შაბათს, ნახევარფინალში სპარანსმა 7:5, 4:6, 6:4, 7:5 დაამარცხა ჯიმ კერი, ავასიმ კი უიბლდონის ნახევარფინალში წაგებისთვის სამაგიერო გადაუხდა ბორის ბეკერს 7:6, 7:6, 4:6, 6:4. მეთორღეფინალში სპარანსმა 7:6, 6:4, 6:მ მოუგო განუთხელ ბაირონ ბლეკს (ზიმბაბუე), კერემ კი 7:6, 7:6, 7:5 აჯობა მაიკ ჩანგს.

სპარანსს დაბრუნებულ მონიკა სელეშს ფინალამდე 11 მატჩი გაემართა და ერთი ზედიზე არ წაგო. მისი და შტეფი გრაფის მატჩი ვაჟთა ნახევარფინალის შორის გამართა, რის გამოც ამ დღეს „სუპერ-შაბათად“ მოიხსენიებენ. სელეში ფავორიტად მიაჩნდათ. გრაფს აწუხებდა წელი, ფეხი და დაპატიმრებული მამის გამო დარდი, მაგრამ მაინც გაიმარჯვა 7:6, 0:6, 6:3 და ნიუ-იორკელი ტიტული შეითხელ მოიგო. იგი ამრიგად შეიქმნა პირველი ქალი, ვისაც დიდი სლემის თითოეული ტურნირი მინიმუმ ოთხჯერ მოუგია. ქულები რომ დაითვალეს, შტეფის უპირატესობა 95:94 გამოხსულა. ნახევარფინალში სელეშმა 6:2, 6:2 გაანადგურა კონნიტა მარტინესი, გრაფმა კი გაბრეილა საბატინის 6:4, 7:6.

სამოცი გლავგოელი

შოტლანდიელი ჟურნალისტების მიერ აგორებულმა პანიკამ: „საქართველოში სა-მოქალაქო ომებია!“ „ოქ დიფტერია!“ „ქურდობა და ყაჩაღობა ყოველ ფეხის ნბი-ჯზე!“ ისე დააფრთხო და შეაფიქრებინა „სელეტიკის“ ხელმძღვანელთა, უმაღლესების დაცვის უფროსი ჯორჯ დეგლასის აფრინეს ბათუმს, გაგვიგე ერთი, სად ჯოჯოხეთში მივდივართო... ბათუმის „დინამოს“ პრეზიდენტს თამაზ ცინარიძეს, ცხადია, პირველად ამაზე კითხეთ...

— დეგლასი გაგვიგებელი ჩამოვიდა და ასევე გაგვიგებელი წავიდა. ოღონდ ჩამოსვლისას და წასვლისას მისი განცვივრების მიზეზები სხვადასხვა იყო. ლამის ცრემლმორეული გვემშვიდობებოდა: ერთი სული მაქვს, კიდევ როდის გიხილავთო...

— როდის ჩამოვალთ შოტლანდილები?

— 13-ში ჩამოვინდებიან ჩარტერული რეისით. სულ სამოცი კაცი იქნება, აქედან ცხრამეტი — ჟურნალისტი...

— „ბათუმი“ სად ემზადება?

— ჩაქვის ერთ-ერთ პროფილაქტორიუ-ში, სადაც მზადებისა და ვარჯიშის ჩინებულ პირობებია. ვარჯიშები ნაფორგადამამუშაველი ქარხნის სტადიონზე ტარდება. ერთი კვირაა, შეკრება დაიწყეთ...

— რამე სახლზე ზომ არაა გუნდში?

— მაღლა ლმერთს, ტრაგეები არავის აწუხებს. უკვე დაგვიმატუნს ნაკრებში გამო-ძახებული ფეხბურთელები და ყველა სრულ დატვირთვით ვარჯიშობს. ზეგ ჩიქოვანი ვერ თამაშებს, რადგან მისი საბუთების გაფორმება ვერ მოესწრა.



გაკანალი და ქართული ჩითიანი ლილიკოპან

კომინიოში, მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათორისო ტურნირზე 7 ტურის შემდეგ 6 ქულით დაწინაურდა ქეთევან კახიანი (გერმანია). 5,5 ქულა აქვს არახამიას, 5-5 — იოსელიანს, მატყეევას (რუსეთი), სკრიანსკოს (უკრაინა), სუკაინ ცინს (ჩინეთი). მომდევნო ვარჯიში — 4,5. სათამაშო დარჩა 6 ტური. შეგახსენებთ: პრეტენდენტთა ტურნირის საგზურს მიიღებენ I-VI ადგილებზე გასულნი.

ზვიად შათირიშვილი



ეროვნული
უნივერსიტეტი



1. თამაში შოთა არველაძის რამდენიმე კონტრშეტევით დაიწყო
2. შალე დევაძემ კლინსმანის თაური სასწაულად მოიგვრია
3. ქართველების ერთ-ერთ კონტრშეტევას ქეცბაიას გოლი მოჰყვა
4. შერე გერმანელთა გახარების ფერიც დადგა
5. ციგეს შვორც გოლს „მაყურებელი“ ბევრი უყავდა
6. შელია კლინსმანის დუელმა მთელი თამაში გასტანა

შტაფან ჰიკელის
ფოტოები. გაზეთი
„ნიურნბერგერ ნახრიხტნი“



შოგლანდია


«სელტიკი» ახლაც მატარია!

რაც ბრტანეთში ვარ, ასეთი დაძაბული და ეფექტური თამაში არ მინახავს, თვით ინგლისის ჩემპიონატშიც კი. ბათუმელთა მეტოქე გლახოს „სელტიკი“ რომ წარსულში უძლიერესი გუნდი იყო, საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ გუნდის წინააღმდეგობა „სელტიკის“ უპირატესობა აშკარად მეტი იყო, მაგრამ მე-11 წუთისთვის გუნდი... 0:2-ს აგებდა. ეს აბერდინელთა ორდორი შეტევას შედეგი იყო. აგრ, მე-8 წუთზე, როდესაც „ბათუმის“ მეტოქის მეკარეს მარშალს ბურთი უნდა აეღო, იგი მეკარის დასაზღვევად გამოქვეყნდა ცენტრალურ მცველს ბოლდს თვითმზვდა და კარში გავიდა. მე-11 წუთზე შედგა კვლავ ბოლდს დაუშვა — მან ხელი ვერ შეუშალა ჯეკს, რომელიც მარცხნიდან საკარიბოში შევიდა და დარტყა. ბოლდის შედეგად მას მარშალის დაეპატა, ვოლკანერს ბურთი ხელში გაუჭრა — 0:2. ასეთ უცნაურ დასაწყისს სელტიკელთათვის თავზე არ აუბნევია, მათ განაგრძეს დაინერგულ შეტევები და საწადელსაც მაიქსიფეს. „სელტიკის“ სამი გოლის აღწერამდე იმას გეტყვით, რომ შეხვედრა მეტისმეტად მაღალ ტემპში მიმდინარეობდა. პირველ ტაიმში ბურთს უპირატესად „სელტიკი“ ფლობდა — 78 პროცენტზე 32-ის წინააღმდეგ. გლახოელთა შეტევები ხელს არ განუღობდა ტაიმური ბრტანელი. ერთაზე გაჭრასა და საკარიბოში მაღალი ბურთის ჩაწოდებას, „აბერდინისგან“ განსვავებით, მხოლოდ საჭიროებისამებრ მებრტანელებს ეყვლა იერიშს გუნდის გამოამაშებული კოლინზი იწყებდა. ეს ცაცია, მეტად ტექნიკური მოთამაშე „სელტიკის“ სული იყო. მის გარდა, საუცხოო ტექნიკით ყურადღება მიიპყრეს მაკინლიმ და ოდონელმა, აღსანიშნავია დონელს შრიბისუ-ნარიალსაც. ჩვენი აღბანელი ნაცნობი რუდი ვატი მარჯვენა მცველის ფუნქციას ასრულებს და თავისი ფრტიდან გარღვე-

ვებს ცდილობს. ყველაზე სუსტ უფრო სწორად, მიუქნელ ფეხბურთელად ბოლდს ვეფრდით, დაცვის ხაზზე მოთამაშე პიუსი მეჩვეა. ის მეტოქეებს ბურთს ტექნიკურად ვერ ართმევს და ამიტომ ხშირად უხეშობს. „აბერდინთან“ შეხვედრაში პიუსი 65-ე წუთზე გააფრთხილეს, 73-ზე კი გააძევეს. იმ დღეს პირველ ტაიმში სელტიკელები ხშირად ხვდებოდნენ თამაშგარე მდგომარეობაში (ცხრა — ერთის წინააღმდეგ). 22 წუთზე დონელმა გამოქოლი პასი მიაწოდა კოლინზს, რომელმაც ცაციათი ბურთი ცხრიანში მოჭრა — 1:2.

33-ე წუთზე დონელმა ცენტრში მიიღო ბურთი, წინ ტომი გაიჭრა, აშკარად თამაშგარეთ ამოჰყო თავი. დონელმა ეს უმაღლესი შედეგი და შეტევა შეწყვიტა, სამამ ვერანელი ნებადართულ პოზიციას დაუბრუნდებოდა, აქ კი ფორვარდი საქმეში ჩართო. ტომმა ჩაწოდება განიხრანა, მაგრამ ბურთი შორეული ძეღისკენ გაუქცა და საკარიბო ეფექტური გოლიც გამოუვიდა — 2:2.

„სელტიკის“ შედეგად მატარია „აბერდინთან“ მატარია



39-ე წუთზე დონელმა მარჯვენა ფრტიდან საკარიბოში ვან პოიდონსკის მიაწოდა (ინგლისელები პოლანდიელის გვარს პიუსი-ლოვად გამოიქვეყნენ), რომელმაც კარიბსკენ ოციადე მეტრში მდგომ ტომს მიუგვრა. ტომმა ცაციათი დარტყა, ბურთი მეკარემ მოიგვრია, მაგრამ კოლინზმა დაამატა — 3:2.

მეორე ტაიმში „სელტიკის“ მწვრთნელმა შეცვალა მაკინლი, პოიდონსკი და ტომი. თავდასხმელების ნაცვლად მოედანზე მცველები შეიყვანა და აშკარად ანგარიშის შენარჩუნების ტაქტიკა არჩია. ბოლო ოთხშეტი წუთი, „აბერდინის“ სრული უპირატესობით წარმართა, მაგრამ მასხინდულმა ვერ გაჭყითეს. 66-ე წუთზე აღბანელმა ვატიმ საკუთარი ცარიელი კარი იხსნა გოლისაგან.

თამაშის შემდეგ კოლინზმა განაცხადა, ახალ სეზონში ასე ძლიერად ვერ არ გეოთამაშობი. ბოილმა კმაყოფილება გამოთქვა კომბინაციური თამაშით და კარგად აწყობილი პასებით. ყველანი ერთხმად აღნიშნავენ, რომ „სელტიკის“ კალენდარი ერთობ გადატვირთულია გუნდს 20 დღეში 7 თამაში უწევს, მაგრამ მწვრთნელის ტომი ბურნის აზრით, უმთავრესი ბათუშია პასტია.

„სანდი მეილი“ წერდა, რომ „სელტიკმა“ მოახერხა, ბელგრადში გაეგზავნა თავისი კაცი და „ობალიცისთვის“ ბათუმელთა ორივე თამაშის ვიდეოჩანსწერი გამოერთმია. საუკუნისხმა, რომ იუგოსლავიიდან სხვადასხვა სანქციების გამო გარკვეული ნიუთების, მათ შორის კაცელების წამოღება სასტიკად იკრძალება, მაგრამ გლახოელებმა ფირი „ბათუმის“ თამაშის მანწერიტ გაეროს ფოსტასთან ერთად გამოამარეს.

ზურაბ მძიმელია, ლონდონიდან

Table with match results and statistics for Zuraab Mzimela, including scores and player names.

გერმანია

Table with match results and statistics for Germany, including scores and player names.

ინგლისი

Table with match results and statistics for England, including scores and player names.

რუსეთი

Table with match results and statistics for Russia, including scores and player names.

საფრანგეთი

Table with match results and statistics for France, including scores and player names.

პოლონეთი

Table with match results and statistics for Poland, including scores and player names.

შვეიცარია

Table with match results and statistics for Switzerland, including scores and player names.

ესპანეთი

Table with match results and statistics for Spain, including scores and player names.

იგალია

Table with match results and statistics for Georgia, including scores and player names.

იგალია


Table with match results and statistics for Georgia, including scores and player names.

პორტუგალია

Table with match results and statistics for Portugal, including scores and player names.

სარგბიელი





კელვინ ზილი

მს კასი ზედ ბაღაბჟჟა

ოლიმპიური ატაშე მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა ოლიმპიადის მონაწილე ნებისმიერი ქვეყნისთვის. იგი, ფაქტიურად, შუაგადასა ქვეყანასა და თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს შორის. მას უწევს იმ ნებისმიერი წერილობითი თუ მსხვილმანი პრობლემების გადაჭრა, რომლებიც წარმოქმნებათ კონკრეტული სახელმწიფოს ოლიმპიელებს თამაშების მზადებისა და მიმდინარეობის პროცესში.

ცხადია, ამგვარი კაცი ძირითადად ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნის ტერიტორიაზე უნდა იმყოფებოდეს. ამასთან, ყველა მეტ-ნაკლებად ფეხზე დამდგარ სახელმწიფოს ამ თანამდებობაზე თავისი მოქალაქე უნდა გაიშვებოდეს. მაგალითისთვის, რუსეთის ატაშე „საბჭოთა კალათბურთის მამა“ — ალექსანდრ გომელსკია, რომელიც ატლანტიდან, ფაქტიურად არ გამოდის და ფართო ნაცნობობა — პარტნიორობის მეშვეობით თავის ქვეყნის ოლიმპიელებს ბევრს რამეს უკეთებს.

საქართველოს, დღევანდელი გაჭირვების გამო, ცხადია, არა აქვს ამ თანამდებობაზე ქართველი კაცის დანიშვნის და მისი ატლანტაში შენახვის საშუალება. თანაც, მართო ფული არ კმარა, ატაშის პირადი კონტაქტების დიდი ქსელი უნდა აქონდეს გაბმული, ემანდ რამე არ გამოჩნდეს, ან უბრალოდ ვინმემ არ გააცუროს. ალბათ ღვთის წყალობა იყო, რომ ჩვენი სპორტის ხელმძღვანელობამ შემთხვევით გააცნეს ბატონი კელვინ პილი, რომელმაც საქართველოს ოლიმპიური ატაშობა იკისრა.

ეს კაცი ძალიან ბევრს აკეთებს ჩვენი ქვეყნისთვის. სიტყვების ცარიელი რაბანდები რომ არ გამოვიდეს, კონკრეტულ ფაქტს მოვიყვან: პირადად ბატონი პილის წყალობით საქართველოს ოლიმპიურმა გუნდმა სამკვირიანი შეკრება გაიარა მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქში. ისიც მოგახსენებთ, რომ ბევრი ჩვენზე მდიდარი და ძლიერი ქვეყანა თავს ამის უფლებას ვერ აძლევს.

კელვინ პილის დამოკიდებულება ჩვენს დელეგაციასთან ერთი სიტყვით შეიძლება შეაფასო: ზედ გადაგვყვა. სამი კვირის მანძილზე იგი ნუთითაც არ მოგვმორებია და სულ იმის ცდაში იყო, რამე არ დაგვკლებოდა. ბატონმა პილმა ეს ბრწყინვალედ შეძლო და ყველა ჩვენგანის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ამავდროულად იგი ჯორჯიის შტატის პატარა ქალაქის ბოლგრანდის მერი და სერიოზული ბიზნესმენია. ამგვარი ხალხისთვის კი ყოველი ნუთი ძვირფასია. ბატონმა პილმა კი ჩვენს სპორტს მენებს მზადების იდეალური პირობები სწორედ თავისი დროის (ესე იყო, ფულის, რადგან ამერიკაში დრო ფულია) ხარჯზე შეუქმნა. ეს ინტერვიუ ჩვენი ნამოსვლის წინა დღეებში შედგა.

— გადაიღოთ ჩვენი მასპინძლობით?
— ცოტათი. ვცდილობდი, ჩემი დღის რეჟიმი არ დამერღვია. დილის ხუთ საათზე ვდგები, ვვარჯიშობ და დაახლოებით რვა საათი ვმუშაობ. ვარჯიშობ და დაახლოებით რვა საათი ვმუშაობ. ვარჯიშობ და დაახლოებით რვა საათი ვმუშაობ.

— მწელი იქნებ არც იყო, მაგრამ უჩვეულო სიტუაციაში მომიწია მუშაობა. აქამდე არასდროს გვიმასპინძლა სპორტსმენებისთვის, ისიც ოლიმპიური გუნდისთვის თანაც, თქვენი დელეგაცია საქართველოში იყო. ყველაზე რთული გახლდათ საცხოვრებლისა და სავარჯიშო სარბიერების შერჩევა. ბუნებრივად, ყველაფერი მოგაგვარეთ — გუნდის ძირითად ნაწილს — ძიუდოსისტებს და მოჭიდავეებს იქვე გამოეყენებინათ დარბაზები, სადაც ცხოვრობდნენ — რეინარდტის კოლეჯში. ფიზიკურად და რაბანდების დარბაზი აქვე იყო. მოკრივეებს ცოტა მოშორებით უწევდათ სიარული, მაგრამ ტრანსპორტირების საკითხი გადავიჭრეთ. შორიანხლსვე გამოეყენებინათ სარბიერების მსროლელთა, ძალიანა და წყალში მშტომელთათვის, მაგრამ სხვა ქალაქებში უკეთეს პირობებს მივაგვანით და ამიტომაც გავუშვით ისინი იქ.

— თქვენი თაოსნობით შეიქმნა „საქართველოს ოლიმპიური გუნდის მხარდაჭერის ცენტრი“, რომელშიც შეტანილია და გაფლანგნილი ხალხი შევიდა. მათი მოწოდება და ჩვენით დანტერესება არ გაიჭირდათ?
— მე აუხსენი ამ ხალხს, თუ რა და როგორი ოლიმპიური ტრადიციების ქვეყნის წარმომადგენლების დახმარებას ვთავაზობდი. მათ კარგად გაიგეს და გვერდში ამომიდგნენ. მათ გარდა ბევრი კარგი ადამიანი ვიპოვე რეინარდტსა და ატლანტაში, ჩვენი ოლეის, ჩეოკის ქალაქებში კენტიონსა და ველსტოკში. ისინი ძალიან დამეხმარნენ. თავდაცვით, როგორც პასუხისმგებლობით ეკიდებან საქმეს. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ შეკრების მოწყობა არ იყო ძნელი, უბრალოდ, საუშუალო ბევრი გახლდათ და მასში ბევრი ხალხის ჩაბმამ მომიწია.

— როგორია თქვენი შთაბეჭდილებები საქართველოს ოლიმპიურ გუნდზე?
— ჩემთვის დიდად სასიამოვნო იყო მუშაობა დელეგაციის თითოეულ წევრთან — როგორც ათლეტებთან, ასევე მწერთნელებთან და ოფიციალურ პირებთან. ძალიან ბევრ ვარჯიშს დავესწარი. თქვენი სპორტსმენები, პირდაპირ ვიტყვი, მსოფლიო კლასისა არიან. ტიტულები ცალკე იყოს და, მათი ვარჯიშის ხარისხიც ამას ადასტურებს.

— როგორია თქვენი შთაბეჭდილებები საქართველოს ოლიმპიურ გუნდზე?
— ჩემთვის დიდად სასიამოვნო იყო მუშაობა დელეგაციის თითოეულ წევრთან — როგორც ათლეტებთან, ასევე მწერთნელებთან და ოფიციალურ პირებთან. ძალიან ბევრ ვარჯიშს დავესწარი. თქვენი სპორტსმენები, პირდაპირ ვიტყვი, მსოფლიო კლასისა არიან. ტიტულები ცალკე იყოს და, მათი ვარჯიშის ხარისხიც ამას ადასტურებს.


— როგორია თქვენი შთაბეჭდილებები საქართველოს ოლიმპიურ გუნდზე?
— ჩემთვის დიდად სასიამოვნო იყო მუშაობა დელეგაციის თითოეულ წევრთან — როგორც ათლეტებთან, ასევე მწერთნელებთან და ოფიციალურ პირებთან. ძალიან ბევრ ვარჯიშს დავესწარი. თქვენი სპორტსმენები, პირდაპირ ვიტყვი, მსოფლიო კლასისა არიან. ტიტულები ცალკე იყოს და, მათი ვარჯიშის ხარისხიც ამას ადასტურებს.



ტურებს. ძიუდოსისტებმა ოსტატობა ამერიკის ღია ჩემპიონატში დაამტკიცეს — ერთი ოქროს და სამი ვერცხლი — კარგი შედეგია. მომეწონენ მოკრივეებიც. ამერიკელმა სპეციალისტებმა მიიტრეს, რომ ისინი კლასიკური, ევროპული სტილით ჩხუბობენ და ერთ-ერთი უძლიერესები არიან, ვინც კი აქამდე შეგვხვდრია. ოფიციალური პირებიც თავისი საქმის პრაქტიკოსობაში არიან — მე მათ ვახსენე ატლანტა-96-ის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელობასთან შეხვედრაზე. იმ საუბარში ნათლად გამოჩნდა, რომ თქვენები საქმიანი ხალხია. ეს ორგანიზაციის წარმომადგენლებმაც მიიტრეს. ერთი სიტყვით, საქართველოს ოლიმპიურმა გუნდმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ასეც უნდა ყოფილიყო — საქართველოს დიდი ოლიმპიური ტრადიციები აქვს. ოლიმპიადებზე მოპოვებული მედლებიც ამაზე მეტყველებს.

— რა სახით გაგრძელდებოთ თანამშრომლობა საქართველოს ოლიმპიურ გუნდთან?
— ჩვენი თანამშრომლობა არ წყდება. მე ვაგრძელებ მუშაობას როგორც ოლიმპიური ატაშე. ჩემი ძირითადი საზრუნავია საქართველოს დელეგაციის მიღება ოლიმპიადის წინა პერიოდში. თქვენი გუნდი ადრე ჩამოვა, დაახლოებით 1 ივლისიდან. უნდა ყველაფერი გაგაზნდოთ როგორც ოლიმპიურ სოფელში, ისე იქ, სადაც სპორტსმენები სოფლის ოფიციალურ გახსნამდე დახმარდებიან. წერილობითი საკითხებზე ლაპარაკი არც კი დიან. ნოემბერში თბილისში ჩამოვალ და ბევრ დეტალს იქ დავხუტებ. მაქვს და მექნება ყოველდღიური კონტაქტი ბატონებთან ჯანო ბაგრატიონთან და ემზარ ზენაიშვილთან. მზად ვარ, მოვგვარო ნებისმიერი პრობლემა, რომელიც გაგიჩნდებათ. ამჟამად ჩემი შრომით კმაყოფილი ვარ — საქართველოს ოლიმპიური გუნდის კანდიდატებმა სამკვირიანი შეკრება გაიარეს ამერიკაში, ჯორჯიაში. ეს იყო აუცილებლობა, ისინი უნდა გაეცნობოდნენ აქაურ სიტუაციას. ოლიმპიადამდე ჩამოსვლისას მათ ბევრი რამე გაუადვილებდათ, ბევრი რამე ნაცნობი იქნება და ძალების დამატებითი კონცენტრაცია აღარ დასჭირდებათ. მოუთმენლად ველი ზაფხულს, ოლიმპიადას და თქვენი ათლეტების ჩამოსვლას. ისე შეგვეჩვიეთ, ძალიან დამაკლდებოთ, მაგრამ იმის იმედიც მაქვს, რომ დრო მალე გავა.

მერაბ რატიშვილი
ატლანტა — თბილისი
ამერიკაში კორესპონდენტის მივლინებისთვის რედაქცია მადლობას უხდის სპორტის დეპარტამენტსა და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს.



„ატლანტა ჰოქსს“ ახალი ემბლემა აქვს. ამერიკაში ამის შესახებ ყველამ იცის, მაგრამ სიახლე თვალთ არავის უნახავს. ამის მიზეზი კი ლოკალურია — მის განმავლობაში ემბლემის გამოქვეყნება გაზეთებსა თუ ტელევიზიაში აკრძალულია. აგრეთვე აკრძალულია ახალმშობიანი ნანარების (მაისურები, ქულები, ბეჭდები და ა.შ.) გაყიდვა.
„ატლანტა ჰოქსის“ ახალი ემბლემის ესკიზები ჩვენს კორესპონდენტს მერაბ რატიშვილს კლუბის პრეზიდენტმა სტენ კასტენმა გადასცა. ოღონდ არ გამოაქვეყნოთო, არც ბატონ კასტენს და არც „ჰოქსის“ სხვა თანამშრომლებს უთქვამთ. ჩვენც, რაკილა აკრძალვა მოხსნილი გვაქვს, ალბათ მსოფლიოში პირველები ვაქვეყნებთ ამ ემბლემას.

«ატლანტა ჰოქსის» რეკორდები

თამაშების რაოდენობა	დომინიკ ვილინსი 882 (1982-94)
ნათამაშები ნუთები	დომინიკ ვილინსი 32 542
ნათამაშები ნუთები საშუალოდ ბობ პეტტიტი 388,6 (1954-65)	
ქულა	დომინიკ ვილინსი 23 292 (1982-94)
საშუალო შედეგანობა	დომინიკ ვილინსი 26,4 (82-94)
სამკულიანი	დომინიკ ვილინსი 500 (82-94)
საჯარიმო სროლა	ბობ პეტტიტი 6182 (1954-65)
ბობ პეტტიტი	12851 (1954-65)
პასი	გლენ რივერსი 3866 (1983-91)
ჩაჭრა	დომინიკ ვილინსი 1245 (82-94)
დაფარება	ვეინ როლინზი 2283 (1977-88)
ფული	ვეინ როლინზი 2924 (1977-88)
დისკვალიფიკაცია	ვეინ როლინზი 88 მატჩი (77-88)
ერთი სეზონში	
ქულა	დომინიკ ვილინსი 2397 (87-88)
საჯარიმო	დომინიკ ვილინსი 607 (86-87)
პასი	ვეინ ვილისი 1258 (1991-92)
ჩაჭრა	გლენ რივერსი 823 (1986-87)
დაფარება	მუკი ბლეილოკი 212 (1993-94)
ფული	ვეინ როლინზი 343 (1982-83)
ნათამაშები ნუთები	ბილ ბრიჯზი 3269 (1969-70)

ფული	დან რაუნდფილდი 358 (1978-79)
დისკვალიფიკაცია	ჯო შერივეზერი 21 (1976-77)
ერთი მატჩში	
ქულა	დომინიკ ვილინსი 57 10.12.1986 ლუ პადსონი 57 10.11.1969 ბობ პეტტიტი 57 18.2.1961
სამკულიანი	დომინიკ ვილინსი 8 9.03.1993
საჯარიმო	დომინიკ ვილინსი 23 8.12.1992
პასი	ბობ პეტტიტი 35 3.03.1958
ჩაჭრა	მუკი ბლეილოკი 23 6.03.1993
დაფარება	მუკი ბლეილოკი 8 1.03.1994 გლენ რივერსი 8 4.12.1985 ვეინ როლინზი 8 26.02.1982 ლუ პადსონი 8 5.12.1980 ლუ პადსონი 8 26.12.1973
დაფარება	ვეინ როლინზი 12 21.2.1979
გუნდური რეკორდები	
ყველაზე მეტი ქულა	სეზონში 9646 (1969-70) თამაშში 155 11.2.1970
ყველაზე მეტი საჯარიმო	სეზონში 2120 (1970-71) თამაშში 49 7.03.1959
ყველაზე მეტი სამკულიანი	სეზონში 382 (1992-93) თამაშში 13 24.2.1993
ყველაზე მეტი პასი	სეზონში 2846 (1980-81) თამაშში 47 24.01.1960
ყველაზე მეტი ჩაჭრა	სეზონში 916 (1977-78) თამაშში 22 19.01.1994
ყველაზე მეტი დაფარება	სეზონში 665 (1982-83) თამაშში 19 23.11.1983
ყველაზე ცოტა ქულა	სეზონში 8281 (1981-82) თამაშში 57 27.02.1955

